სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/79

ქ. თბილისი

25 ოქტომბერი 2019

სტუ-ის ადმინისტრაციის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2019 წლის 24 სექტემბრის №05-01/20 წერილისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 24 სექტემბრის №05-01/20 წერილით მოთხოვნილი პარამეტრების თანახმად;
2. დაევალოთ შესაბამის სტრუქტურებს შეტანილი ცვლილებები დაუყოვნებლივ ასახონ დებულებებში;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**